ხელშეკრულება N 154
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური** (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #83ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 205350699), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი სამსახურის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის **მიხეილ ამირანაშვილის** სახით და მეორეს მხრივ
მიმწოდებელი: შპს „ჯი თი მოტორსი“ საიდენტიფიკაციო კოდი 206 276 340

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6, ტელ: 032 2 29 20 00;

გენერალური დირექტორი: თემურ უსტიაშვილი

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: **BAGAGE22** ანგარიში: **GE89BG 0000 0002 4762 4300**
(შემდგომში „მიმწოდებელი“), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: 6 ერთეული “FORD RANGER 3.2 AT"-ის მარკის (2021წ. გამოშვებული) ა/მანქანის სათადარიგო ნაწილის გეგმიური/არაგეგმიური სერვის მომსახურების შესყიდვა დანართი N1-ის (პრეისკურანტი) და დანართი N2-ის (სარეგლამენტო) შესაბამისად.
2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა - საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
2.3 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს**,** რომელიც მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დღგ-ს. ამასთან, პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს **47 708** (ორმოცდაშვიდი ათას შვიდასრვა) ლარი.
2.4 კლასიფიკატორის კოდი - 50100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება.
2.5 ხელშეკრულება ძალაშია: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მაგრამ არანაკლებ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
2.6 დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით (პრეისკურანტი) და დანართი N2-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. მიმწოდებელმა, შემსყიდველის მოთხოვნის შემდგომ უნდა განხორციელდეს მანქანის ვიზიტის ჩაწერა სერვისში, ჩაწერის დღიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უნდა ჩაატაროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება და წარუდგინოს შესმყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად, რომელშიც აღნიშნული იქნება გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის სათადარიგო ნაწილების დეტალური აღწერა, ღირებულება და მომსახურების გაწევის ვადა;
3.2 მომსახურების გაწევის ვადები:
- **3.2.1** სავალი ნაწილებისათვის **3** სამუშაო დღე;
- **3.2.2** ელექტროობისათვის არაუმეტეს **5 სამუშაო** დღე;
- **3.2.3** აგრეგატებისათვის არაუმეტეს **5 სამუშაო დღე;** დღე;
- **3.2.4** სათუნუქე სამღებრო სამუშაოებისათვის არაუმეტეს **25** სამუშაო დღეს;
- **3.2.5** ხანგრძლივი მომსახურების (ძრავი, ხიდი, სიჩქარეთა კოლოფი) გაწევის ვადა არაუმეტეს **25** სამუშაო დღეს;

3.2.6 სათადარიგო ნაწილის საზღვარგარეთ შეკვეთის შემთხვევაში მომსახურების გაწევის ვადა არაუმეტეს **55** სამუშაო დღეს; გამონაკლის, ობიექტური საჭიროებით გამოწვეულ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით აცნობოს შემსყიდველს დამატებითი გონივრული ვადის შესახებ.

3.3 მომსახურების გაწევის ადგილი:

3.3.1 ქ. თბილისი, მიმწოდებლის სერვის-ცენტრ(ებ)ი;

3.4მომსახურების გაწევის პირობები:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვის მომსახურება გაწეული უნდა იქნას დაუყოვნებლივ, რიგგარეშე, ი მ პირობით, რომ წინასწარ შეთანხმებული იქნება ავტომობილის ვიზიტის დღე და საათი
- მომწოდებელს უნდა გააჩნდეს ძრავის დიაგნოსტიკური აპარატურა;
-მომწოდებელს უნდა გააჩნდეს პრეისკურანტით გათვალისწინებული ავტოსატრასპორტო საშუალებების მოდელებისათვის პირველადი ხარჯვადი სათადარიგო ნაწილების მინიმალური მარაგით;
- სატრასპორტო საშუალებების დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს (ახალი,არამეორადი) მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილით;
- თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ პრეისკურანტში არ არსებობს რომელიმე სახის სათადარიგო ნაწილი/მომსახურება, აღნიშნულის სათადარიგო ნაწილი/მომსახურების ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

4.2 საგარანტიო ვადა: ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში (თუ არ აღინიშნება გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეული დაზიანება) მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე, ახალ (არამეორად) და შეკეთებულ ნაწილებზე საგარანტიო ვადა განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან დანართი N1-ის შესაბამისად. ამასთან, სამუხრუჭე ხუნდებზე ქარხნული წუნის გამოვლენის შემთხვევაში (წრიპინი და ა.შ), მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მათი ახლით შეცვლა - შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. გარანტია არ ვრცელდება: - სწრაფცვეთად დეტალებზე; -იმ დეტალებზე, რომელთაც აღენიშნებათ გარეგანი, მექანიკური ზემოქმედების კვალი; - ავტომობილის ექსპლოატაციის წესების დარღვევით გამოწვეულ დაზიანებებზე: - ასეთ ისეთ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ საგარანტიო ვადაში რაიმე დეტალი/მომსახურება შეძენილია მიმწოდებლის სერვისის გვერდის ავლით;

4.3 ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

4.4 მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ გაწეული მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ტრანსპორტის სამმართველოს უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

5.4 კონტროლს განმახორციელებელი შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის (ინსპექტირების ჯგუფის) ფუნქციაა:

5.4.1 დაადგინოს გაწეული მომსახურების და შეცვლილი სათადარიგო ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5.4.2 დაადგინოს მომსახურების გაწევისა და სათადარიგო ნაწილის შეცვლის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5.4.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურის ინფორმირება.

5.4.4 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადების მონიტორინგი და ადმინისტრირება.

5.5 კონტროლის განხორციელებას ახდენს, შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი, გაწეულ მომსახურებაზე სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ.

5.6 კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით-მომსახეურების გაწევის პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

5.7 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

5.8 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა..

6 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღება-ჩაბარებას განახორციელებენ **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ტრანსპორტის სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი**

6.3 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება უხარისხო (წუნდებული) ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო მომსახურების გაწევა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბრების აქტი არ ფორმდება.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გაწეულ მომსახურებაში გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6.6 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

6. ანგარიშსწორება

6.1 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

6.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორება ვალუტა - ლარი;

6.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით. საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და შემსყიდველისათვის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში;

6.5 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულებით გათვალისწინებული სრული თანხა, შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს განსახორციელებელი მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების **1%-ის** ოდენობით.
7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული ვალდებულების **0.50%-ის** ოდენობით.
7.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა **2.4** პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულების **5%**-ის ოდენობით.
7.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
7.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
8.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
8.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
8.6 ამ მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.
9.4 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ პრეისკურანტში არ არსებობს რომელიმე სახის სათადარიგო ნაწილი/საცხებ-საპოხი მასალა/მომსახურება, აღნიშნული გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის

შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული - „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-15[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის თავდაპირველი ღირებულების 10%-ს.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, სსიპ „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

11.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით.
11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
12.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
12.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. სხვა პირობები

13.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ამ დოკუმენტის თავში მითითებულ თარიღს, შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

13.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

მიმწოდებელი:

შპს „ჯი თი მოტორსი“

GT MOTORS LTD

Подписано цифровой подписью: GT MOTORS LTD
Дата: 2023.01.28 10:17:50 +04'00'

შემსყიდველი:

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

FORD RANGER					
№	ძირითადი დეტალების და სამუშაოების დასახელება	ერთეულის ზომა	ფასი დღგ-ს ჩათვლით	ერთეულზე მომსახურების ფასი	საგარანტიო ვადები
	სავალი ნაწილი				
1	ამორტიზატორი წინა	ცალი	794	112	12 თვე ან 100 000 კმ
2	ამორტიზატორი უკანა	ცალი	776	64	12 თვე ან 100 000 კმ
3	წინა ამორტიზატორის საყრდენი ბალიში	ცალი	408	112	12 თვე ან 100 000 კმ
4	ამორტიზატორის ბუფერი წინა	ცალი	244	112	12 თვე ან 100 000 კმ
5	ამორტიზატორის ბალიშის საკისარი	ცალი	276	112	12 თვე ან 100 000 კმ
6	წინა სტაბილიზატორის მილისა	ცალი	173	40	
7	ბერკეტი (გიტარა) ზედა მჯ	ცალი	483	88	12 თვე ან 100 000 კმ
8	ბერკეტი (გიტარა) ზედა მც	ცალი	483	88	12 თვე ან 100 000 კმ
9	ბერკეტი (გიტარა) ქვედა მც	ცალი	1312	88	12 თვე ან 100 000 კმ
10	ბერკეტი (გიტარა) ქვედა მჯ	ცალი	483	88	12 თვე ან 100 000 კმ
11	გიტარის მილისა ქვედა წინა	ცალი	158	88	12 თვე ან 100 000 კმ
12	გიტარის მილისა ქვედა უკანა	ცალი	370	88	12 თვე ან 100 000 კმ
13	გიტარის მილისა ზედა წინა	ცალი	146	88	12 თვე ან 100 000 კმ
14	გიტარის მილისა ზედა უკანა	ცალი	146	88	12 თვე ან 100 000 კმ
15	წინა სტაბილიზატორი (სუხოი)	ცალი	1443	80	12 თვე ან 100 000 კმ
16	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი	ცალი	176	40	12 თვე ან 100 000 კმ
17	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი მც	ცალი	310	64	12 თვე ან 100 000 კმ
18	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი მჯ	ცალი	310	64	12 თვე ან 100 000 კმ
19	წინა სტაბილიზატორის სამაგრი	ცალი	176	64	12 თვე ან 100 000 კმ
20	საჭის წევა	ცალი	446	304	12 თვე ან 100 000 კმ
21	საჭის წევის მტვერდამცავი	ცალი	479	56	
22	საჭის წევის დაბოლოება მჯ	ცალი	450	56	12 თვე ან 100 000 კმ
23	საჭის წევის დაბოლოება მც	ცალი	451	56	12 თვე ან 100 000 კმ
24	მორგვის საკისარი წინა	ცალი	777	112	12 თვე ან 100 000 კმ
25	წინა ზამბარის ჩამკა	ცალი	276	80	12 თვე ან 100 000 კმ
26	ზამბარა წინა	ცალი	1333	112	12 თვე ან 100 000 კმ
27	ყუმბარა კ-ტი მჯ	ცალი	3433	88	12 თვე ან 100 000 კმ
28	ყუმბარა კ-ტი მც	ცალი	3411	88	12 თვე ან 100 000 კმ
29	სტერჟენი წინა	ცალი	310	24	12 თვე ან 100 000 კმ
30	წინა ამორტიზატორის ლიმონჩიკი	ცალი	117	112	12 თვე ან 100 000 კმ
31	მორგვი წინა	ცალი	1619	56	12 თვე ან 100 000 კმ
32	წერო (ცაპკა) მჯ	ცალი	1599	56	12 თვე ან 100 000 კმ
33	წერო (ცაპკა) მც	ცალი	3134	56	12 თვე ან 100 000 კმ
	სამუხრუჭე სისტემა				
34	სამუხრუჭე დისკის მოხეხვა	ცალი		40	
35	მთავარი სამუხრუჭე ავზი (ცილინდრი)	ცალი	732	88	12 თვე ან 100 000 კმ
36	აბს-ის ბლოკი	ცალი	5950	72	12 თვე ან 100 000 კმ
37	აბს-ის კომპიუტერული ადაპტაცია	ცალი		180	
	ელექტროობა				
38	ელექტროსისტემების კომპიუტერული დიაგნოსტიკა	სისტე		90	
39	გამანაწილებელი ლილვის (რასპრედვალის) დაჩიკი	ცალი	348	64	12 თვე ან 100 000 კმ
40	მუხლა ლილვის (კალენვალის) დაჩიკი	ცალი	275	224	12 თვე ან 100 000 კმ
41	წინა მაშუქის ნათურა (ჰალოგენი) 1 H15	ცალი	252	12	
42	წინა მაშუქის ნათურა (ჰალოგენი) 2 HIR2	ცალი	88	12	
43	"გაბარიტის" ნათურა	ცალი	8	12	
44	ნისლის მაშუქის ნათურა H11	ცალი	84	12	
45	ნისლის მაშუქი ფარი	ცალი	611	12	
46	უკანა მაშუქის ნათურა	ცალი	34	12	
47	მოხვევის მაჩვენებლის ნათურა	ცალი	24	12	
48	სანომრეს ნათურა	ცალი	8	12	
49	ბცმ მოდული (კომფორდტ ბლოკი)	ცალი	1736	80	12 თვე ან 100 000 კმ
50	კომპიუტერული ადაპტაცია	ცალი	3575	180	
	წამყვანი ხიდი, რედუქტორი				
51	ელასტიური მუფტა	ცალი	972	80	12 თვე ან 100 000 კმ
52	ზეთის შემოწმება ხიდში	ცალი		40	
53	თვლების განშლისა და შეყრის კუთხის გასწორება	წყვილი		50	
54	საწვავის ავზის მოხსნა/დაყენება (გამორეცხვა)	ცალი		160	
55	Co-ს შემოწმება			40	
56	საქარე მინის საწმენდის კ-ტი წინა	კომპლ	194	16	
57	საბურავის მოხსნა/დაყენება	ცალი		16	
58	საბურავის დაკერება	ცალი		32	
59	საბურავის დაშლა/აწყობა , ბალანსირება	ცალი		16	
60	საბურავის დისკის გასწორება	ცალი		40	
61	ყუმბარის მტვერდამცავის კ-ტი	ცალი	468	120	
62	სავალი ნაწილის შეპოხვა	ცალი		160	
	საცხებ საპობი				
63	დიფერენციალის ზეთი უკანა	ლიტრი	217	80	
64	დიფერენციალის ზეთი წინა	ლიტრი	217	80	
65	გამანწილებელი კოლოფის ზეთი	ლიტრი	200	80	

66	მინის მწმენდის ყინვაგამძლე სითხე (კონცენტრატი)	ლიტრი	24		
67	სამუხრუჭე სითხე DOT-4	ლიტრი	40		
68	ანტიფრიზი	ლიტრი	28	80	
69	კონდიციონერის ფრეონით დატუმბვა 100გრ	100გრ	13	80	
	ჯამი:		**42 600,00**	**5 108,00**	
	სულ ჯამი:		**47 708,00**		

დანართი N2

გარბენი კმ.	RANGER 3.2	განზომილება	რ-ბა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება	შესასრულებელი სამუშაოს რ-ბა ლარი
10000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
10000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
20000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
20000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
20000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	322	322	15,00
20000	სალონის ფილტრი	ცალი	1	136	136	15,00
20000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	221	221	20,00
20000	სამუხრუჭე ხუნდი წინა	კ-ტი	1	650	650	35,00
30000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
30000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
40000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
40000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
40000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	322	322	15,00
40000	სალონის ფილტრი	ცალი	1	136	136	15,00
40000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	221	221	20,00
40000	სამუხრუჭე ხუნდი წინა	კ-ტი	1	650	650	35,00
50000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
50000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
60000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
60000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
60000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	322	322	15,00
60000	სალონის ფილტრი	ცალი	1	136	136	15,00
60000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	221	221	20,00
60000	სამუხრუჭე დისკი წინა	ცალი	2	853	1706	96,00
60000	სამუხრუჭე ხუნდი წინა	კ-ტი	1	650	650	
70000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
70000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
80000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
80000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
80000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	322	322	15,00
80000	სალონის ფილტრი	ცალი	1	136	136	15,00
80000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	221	221	20,00
80000	სამუხრუჭე ხუნდი წინა	კ-ტი	1	650	650	35,00
90000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
90000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
90000	სამუხრუჭე ხუნდი უკანა	კ-ტი	1	512	512	50,00
100000	Castrol 5w30 9.80L	ლიტრი	9,8	25	245	25,00
100000	ზეთის ფილტრი	ცალი	1	88	88	
100000	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	322	322	15,00
100000	სალონის ფილტრი	ცალი	1	136	136	15,00
100000	საწვავის ფილტრი	ცალი	1	221	221	20,00
100000	სამუხრუჭე ხუნდი წინა	კ-ტი	1	650	650	35,00
100000	კოლოფის ზეთი	ლიტრი	10,5	50	525	200,00
100000	კოლოფის ფილტრი	ცალი	1	300	300	

ჯამი ნაწილების	ჯამი ხელობის
13018	986,00

სულ ჯამი :	14004,00

შენიშვნა 1:	ხუნდების, საყრდენი დისკების, ჰაერის ფილტრი ს შეცვლა დამოკიდებულია მძღოლსა და გარემო პირობებზე. საყრდენი დისკების გამოცვლის კმ–ს დადგომისას, გაიზომება მათი სისქე და თუ გამოსაცვლელი არ არის არ გამოიცვლება, მანამ სანამ არ ჩამოვა საყრდენი დისკის სისქე დასაშვებ მინიმუმზე ქვემოთ
შენიშვნა 3:	**1.** სამუხრუჭე სითხის შეცვლა საჭიროა ყოველ **2** წელიწადში ერთხელ
	2. გაგრილების სისტემაში ანტიფრიზის შეცვლა საჭიროა ყოველ **10** წელიწადში ერთხელ